UDC 658: 330.3
SCOPUS CODE 1410
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-114-122

სოციალური და მწვანე ბიზნესების გამოწვევები საქართველოში

ხათუნა ხარხელაური ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: kh.kharkhelauri@gtu.ge

ნინო ძნელაძე ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: dzneladze.nino22@gtu.ge

საბა წიკლაური ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: tsiklauri.saba21@gtu.ge

რეცენზენტები:

ბ. გოდერძიშვილი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორი
E-mail: b.goderdzishvili@gtu.ge

ნ. მაზიაშვილი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: n.maziasvili11@gtu.ge

ანოტაცია. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა სულ უფრო მეტად ფოკუსირდება მდგრად განვითარებაზე, რაც სოციალური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესებს წამყვან პოზიციებზე აყენებს. საქართველოში ბოლო წლებში აქტიურად იზრდება ინტერესი როგორც სოციალური, ისე მწვანე ბიზნესების მიმართ. თუმცა, მათი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი გარემოს არსებობა. განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში აღნიშნული მოდელები ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ ეტაპზეა და საჭიროებს საკანონმდებლო, ფინანსურ და საგანმანათლებლო მხარდაჭერას.

მწვანე და სოციალური ბიზნესების განვითარება გულისხმობს ისეთი ეკონომიკური მოდელების შექმნას, რომლებიც გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებას ემსახურებიან. ეს მოიცავს ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების შექმნას, რომლებიც კლიმატის ცვლილებებისა და გარემოს დაბინძურების პრობლემებს ამცირებენ.

სტატიაში განვიხილეთ მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომელიც ასევე ცნობილია როგორც „Triple Bottom Line“ მიდგომა. მწვანე ბიზნესები

ხშირად იყენებენ 3P მოდელს (ადამიანი, პლანეტა და მოგება), რაც გულისხმობს არა მხოლოდ ფინანსური სარგებლის მიღებას, არამედ გარემოსა და საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვას. მაგალითად, კომპანიები, რომლებიც ნარჩენების გადამუშავებასა და განახლებადი ენერგიის გამოყენებაზე აკეთებენ აქცენტს, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკოლოგიური პრობლემების შემცირებაში.

სტატიაში განვიხილეთ რამდენიმე სხვადასხვა ტიპის მდგრადი ბიზნესმოდელი, რომლებსაც კომპანიები იყენებენ საზოგადოებასა და გარმოზე დადებითი გავლენის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარების კონცეფცია; მწვანე ბიზნესი; „Triple Bottom Line“ Model.

შესავალი

სოციალური ბიზნესი პირველ რიგში საზოგადოებრივ სარგებელზეა ორიენტირებული. მას შეუძლია შეიმუშაოს ისეთი მდგრადი ბიზნესმოდელი, რომელიც გააერთიანებს ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობასა და სოციალურ მისიას. მწვანე ბიზნესი კი ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მატარებელია და ცდილობს გარემოზე ზემოქმედების შემცირებას — იქნება ეს დაბინძურების კონტროლი, საწარმოო ნარჩენების მართვა თუ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება.

მსოფლიოში ამ ორი მიმართულებისადმი ყურადღება მნიშვნელოვნად გაიზარდა. განვითარებული ქვეყნები აქტიურად ქმნიან ინოვაციურ პოლიტიკასა და სტიმულების მექანიზმებს ამ სფეროში ჩართული კომპანიებისთვის. ორივე სფერო მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გლობალური მიზნების მიღწევისთვის (მაგ. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები), არამედ ქვეყნის შიდა ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობისთვის.

ძირითადი ნაწილი

“მდგრადი ბიზნესმოდელი” არის ბიზნესის კეთების კონცეფცია, რომელიც ქმნის სარგებელს არა მარტო მისი მფლობელის, არამედ ყველა მონაწილისთვის. იგი შექმნილია იმისათვის, რომ დააბალანსოს კომპანიის მომგებიანობა გარემოზე ზემოქმედებასა და სოციალურ პასუხისმგებლობასთან. „მდგრადი ბიზნესმოდელები“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ გრძელვადიანი სარგებლის შექმნას, პლანეტასა და საზოგადოებაზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას. „მდგრადი ბიზნესმოდელების“ გაგება მოითხოვს აზროვნების შეცვლას. ეს არის იმის აღიარება, რომ მომგებიანობა და მდგრადობა არ არის ერთმანეთის გამომრიცხავი, არამედ ისინი ავსებენ ერთმანეთს. მომგებიანობა უზრუნველყოფს ბიზნესის ფუნქციონირებას და კონკურენტუნარიანობას, ხოლო მდგრადობა – მის გამძლეობასა და შესაბამისობას სულ უფრო მეტად ეკოლოგიურად პასუხისმგებლიან სამყაროში.

დიაგრამა: მდგრადი განვითარების კონცეფცია



წყარო: [3].

ბიზნესის მდგრადობა ეფუძნება სამ ე.წ საყრდენს: ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას, სოციალურ თანასწორობასა და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას, რომლებიც ქმნიან მდგრადი ბიზნესმოდელების საფუძველს. თითოეულ საყრდენს აქვს თავისი მნიშვნელობა და ურთიერთდაკავშირებულია სხვებთან, რაც ქმნის მყარ სტრუქტურას ბიზნესისთვის, რომელსაც სურს მიაღწიოს წარმატებას დღევანდელ მუდმივად განვითარებად და ცვალებად ბაზრის ლანდშაფტში.

ის ასევე ცნობილია როგორც „Triple Bottom Line" მიდგომა (სამმხრივი ფუნდამენტური მიმართულება), რომელიც მოიცავს:

- *ხალხს* – სამართლიანი მოპყრობა თანამშრომლების, მომხმარებლებისა და თემების მიმართ.
- *პლანეტას* – გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაცია ნარჩენების, გამონაბოლქვის/დაბინძურების და რესურსების გამოყენების შემცირებით.
- *მოგებას* – გონივრული მოგების მიღება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბიზნესმა შეძლოს მდგრადი ფუნქციონირების გაგრძელება გრძელვადიან პერსპექტივაში.

რატომ არის ბიზნესის მდგრადობა ასე მნიშვნელოვანი? ბიზნესი, რომელიც ახორციელებს მდგრადი განვითარების სტრატეგიას, ხშირად იღებს ისეთ სარგებელს, როგორიცაა: უკეთესი ბრენდის რეპუტაცია, ხარჯების ეკონომია, მეტი ინოვაცია, კმაყოფილი თანამშრომლები.

დღეისათვის ცნობილია არაერთი მდგრადი ბიზნესმოდელი, რომლის დანერგვითაც კომპანიებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. მაგალითად:

1. **რეგენერაციული სოფლის მეურნეობის მოდელი,**[1] არის მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს ეკოსისტემების აღდგენას და მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებას. ეს მოდელი ფოკუსირებულია ნიადაგის მოსავლიანობის პოტენციალის აღდგენასა და შენარჩუნებაზე, ბიომრავალფეროვნების გაზრდასა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შემცირებაზე. იგი გულისხმობს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს ბუნებრივ გარემოს.

ამ მოდელის მთავარი პრინციპებია:

- ნიადაგის მდგომარეობის გაჯანსაღება: ორგანული ნივთიერებების გაზრდა, ნიადაგის ბიომრავალფეროვნების გაძლიერება და ეროზიის პრევენცია.
- მინიმალური ჩარევა: ნიადაგის დამუშავების შემცირება ან საერთოდ თავიდან აცილება, რაც ხელს უწყობს ნიადაგის სტრუქტურის შენარჩუნებას.
- მუდმივი მცენარეული საფარი: ნიადაგის დაცვა ეროზიისგან და ორგანული ნივთიერებების შენარჩუნება.
- მრავალფეროვანი კულტურები: კულტურების როტაცია და მრავალფეროვანი მცენარეების გამოყენება, რაც ხელს უწყობს ნიადაგის მდგრადობას.
- მოსავლის ნარჩენების დატოვება მინდორში: რადგან ისინი ორგანული ნივთიერებების და ენერგიის წყაროა შემდგომი მცენარეებისთვის.
- ცხოველების ჩართვა სასოფლო-სამეურნეო პროცესებში, რაც ხელს უწყობს ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდას.

სარგებელი, რომელიც აღნიშნული მოდელის განხორციელებას ახლავს:

- ნიადაგის, წყლისა და ჰაერის რესურსების გაუმჯობესება და ეფექტური გამოყენება.
- ნახშირბადის შემცირება, მისი შენახვა ნიადაგში, რაც ამცირებს სათბურის გაზების ემისიას.
- ეკოსისტემების აღდგენა, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის გაუმჯობესება მათი ამოწურვის ნაცვლად.
- ბიომრავალფეროვნების გაზრდა და ბუნებრივი პროცესების გაძლიერება.

რეგენერაციული სოფლის მეურნეობის მოდელი არა მხოლოდ გარემოსთვისაა სასარგებლო, არამედ ფერმერებისთვისაც, რადგან ის ამცირებს ხარჯებს და ზრდის მოსავლიანობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

2. **სოციალური საწარმოს მოდელი** გულისხმობს ბიზნესსტრუქტურას, რომლის მთავარი მიზანი არის სოციალური, გარემოსდაცვითი ან საზოგადოებრივი გამოწვევების გადაწყვეტა და არა მხოლოდ ფინანსური მოგების მიღება. ეს მოდელი ცდილობს ბალანსი შეინარჩუნოს კომერციულ საქმიანობასა და სოციალურ პასუხისმგებლობას შორის.

მისი ძირითადი მახასიათებლებია:

- სოციალური მიზანი: საწარმოს მთავარი მიზანია გარკვეული სოციალური პრობლემის მოგ-

[1] Regenerative Agriculture Model: Healing the Earth

ვარება, მაგალითად, სიღარიბის შემცირება, განათლების ხელშეწყობა ან გარემოს დაცვა.

- სერვისების/პროდუქტების გაყიდვა: როგორც სხვა ბიზნესი, სოციალური საწარმოები ქმნიან პროდუქტებს ან სერვისებს, რომლებიც მომხმარებლებისთვის ღირებულია.
- შემოსავლის გადანაწილება: მიღებული შემოსავალი ძირითადად გამოიყენება საწარმოს მიზნების განხორციელებისთვის და არა კერძო სარგებლობისთვის.
- ინკლუზიურობა: ხშირად სოციალური საწარმოები ხელს უწყობენ მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებას ან მათთვის სპეციალური სერვისების შეთავაზებას.

სოციალური საწარმოების მოდელი ხშირად არის ინოვაციური და ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას.

3. განახლებადი ენერგიის მოდელი: მომავლის ენერგია

განახლებადი ენერგიის მოდელი, რომელიც ხშირად მოიხსენიება როგორც "მომავლის ენერგია", გულისხმობს ენერგიის წარმოებას ისეთი წყაროებიდან, რომლებიც ბუნებრივად აღდგება და ამოუწურავია. ეს მოიცავს მზის, ქარის, ჰიდროენერგიის, გეოთერმული და ბიომასის ენერგიის გამოყენებას.

მისი ძირითადი მახასიათებლებია:

- ეკოლოგიური სისუფთავე: განახლებადი ენერგიის წყაროები არ წარმოქმნის სათბურის გაზებს და ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას.
- მდგრადობა: ენერგიის ეს წყაროები ამოუწურავია და მათი გამოყენება არ ამცირებს ბუნებრივ რესურსებს.
- ენერგეტიკული უსაფრთხოება: განახლებადი ენერგია ამცირებს დამოკიდებულებას წიაღისეულ საწვავზე და უზრუნველყოფს ენერგიის სტაბილურ მიწოდებას.

4. **ნარჩენების შემცირების მოდელი[2],** არის ინოვაციური მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს ნარჩენების შემცირებასა და მათ რესურსებად გარდაქმნას. ეს მოდელი ეფუძნება ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებს, რაც გულისხმობს რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას, გადამუშავებას და ხელახლა გამოყენებას, რათა შემცირდეს ნარჩენების რაოდენობა და გარემოზე ზემოქმედება. კომპანიები იყენებენ ნარჩენებს, როგორც ნედლეულს ახალი პროდუქტების შესაქმნელად. მაგალითად, Bio-bean გარდაქმნის ყავის ნარჩენებს ბიოენერგიად.

მისი ძირითადი მახასიათებლებია:

- ნარჩენების სორტირება და გადამუშავება: მოწინავე ტექნოლოგიების, როგორიცაა მაგალითად ხელოვნური ინტელექტი, გამოყენება ნარჩენების სორტირებისთვის და გადამუშავების ეფექტურობის გასაზრდელად. მათი გამოყენება ახალი პროდუქტების შესაქმნელად, რაც ამცირებს ნარჩენების რაოდენობას და რესურსების გამოყენებას.
- ნარჩენების ენერგიად გარდაქმნა: ტექნოლოგიები, როგორიცაა მაგალითად, ბიოგაზის ან ელექტროენერგიის წარმოება ორგანული ნარ-

[2] Transforming Trash -(Waste-to-Value)

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

ჩენებიდან, რაც ამცირებს წიაღისეული საწვავის გამოყენებას.

- ორგანული ნარჩენების კომპოსტირება: საკვების ნარჩენებისა და ორგანული მასალების კომპოსტირება, რაც ხელს უწყობს ნიადაგის გამდიდრებას და ურბანული სოფლის მეურნეობის განვითარებას.
- ინოვაციური ტექნოლოგიები: ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, როგორიცაა პლასტმასის მოლეკულურ დონეზე დაშლა ან ნარჩენების ქიმიური კომპონენტების გამოყოფა.
- ეკონომიკური სარგებელი: ნარჩენებისგან მიღებული პროდუქტები შეიძლება იყოს ეკონომიკურად მომგებიანი და ხელს უწყობდეს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.
- საზოგადოების ჩართულობა: მოსახლეობის განათლება და ჩართულობა ნარჩენების მართვის პროცესში, რაც ხელს უწყობს გადამუშავების მაჩვენებლის გაუმჯობესებას.

ეს მოდელი არა მხოლოდ გარემოს დაცვას უწყობს ხელს, არამედ ეკონომიკურ სარგებელსაც ქმნის, რადგან ნარჩენები რესურსებად გარდაიქმნება.

საქართველოში მწვანე და სოციალური ბიზნესების განვითარება ჯერ კიდევ საწყის სტადიაზეა. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს სპეციალური სტატუსი ასეთი ტიპის კომპანიებისთვის, არსებობს რამდენიმე უნივერსალური ინსტრუმენტი, რომლებითაც მათ შეიძლება ისარგებლონ [2].

- **საკანონმდებლო და სტრუქტურული ჩარჩო:** მოქმედი რეგულაციები მცირე და საშუალო ბიზნესებს უჭერს მხარს, თუმცა არ განასხვავებენ სოციალურ ან ეკომიმართულ საწარმოებს.
- **ფინანსური მექანიზმები:** არსებობს პროგრამები, როგორიცაა "აწარმოე საქართველოში", "სტარტაპ საქართველოს" და დონორული გრანტები (მაგალითად, ევროკავშირის ENPARD), თუმცა მათი მიმართულება ხშირად არ არის მკაფიოდ მიახლოებული სოციალურ ან ეკოლოგიურ საწარმოებთან.
- **განათლება და მენტორობა:** მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ვითარდება სტარტაპ აქსელერატორები, რომლებიც სოციალურ მეწარმეობას ხელს უწყობენ. ერთ-ერთი პოზიტიური მაგალითია Impact Hub Tbilisi.
- **საზოგადოების განწყობა:** ახალგაზრდობის ნაწილში მზარდია ინტერესი მდგრადი ცხოვრების წესის, გარემოს დაცვისა და სოციალური სამართლიანობის მიმართ, რაც პოზიტიურ ტენდენციად უნდა შეფასდეს.

საქართველოში უკვე არსებობს რამდენიმე წარმატებული სოციალური და მწვანე ინიციატივა, რომლებიც სხვა სტარტაპებისთვის შთაგონებად შეიძლება იქცეს:

1. **„დადე კაფე"** – სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობა და საზოგადოებრივი სივრცის ეკოლოგიური მართვა.
2. **„ეფექტი"** – ეკომეგობრული შეფუთვების მწარმოებელი, რომელიც ნარჩენების შემცირებაზეა ორიენტირებული;
3. **„რიჩკიდსი"** – სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
4. **თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობებთან** – გარკვეულ რეგიონებში დაიწყო

კომპოსტირების პროექტები და ეკოლოგიური სოფლების კონცეფციების განვითარება.

მიუხედავად იმისა, რომ მზარდია ინტერესი, ქართული მწვანე და სოციალური მეწარმეობის განვითარებას სერიოზული გამოწვევები ახლავს:

1. **სპეციფიკური სტატუსის არარსებობა** – რაც აფერხებს წვდომას საგადასახადო შეღავათებსა და გრანტებზე.
2. **დაფინანსების შეზღუდულობა** – ინვესტორების მხრიდან ჯერ კიდევ სიფრთხილეა მსგავსი ბიზნესების მიმართ.
3. **სისტემური ცოდნის ნაკლებობა** – მეწარმეების უმეტესობას არ აქვს სრულყოფილი ცოდნა სოციალურ ან ეკომოდელების შესახებ.
4. **განსხვავებული კულტურული მოლოდინები** – ქართულ საზოგადოებაში ბიზნესი ჯერ კიდევ ხშირად ასოცირდება მოგებაზე ორიენტირებულ სტრუქტურებთან, რაც ართულებს სოცეკომოდელების გაგებას.

დასკვნა

საქართველოში სოციალური და მწვანე ბიზნესების განვითარების პოტენციალი თვალსაჩინოა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში მზარდი ინტერესის, გლობალური ტენდენციებისადმი ღიაობისა და ადგილობრივი ინიციატივების გააქტიურების ფონზე. თუმცა, სექტორის წინსვლა კვლავ შეზღუდულია სამართლებრივი გაურკვევლობის, ფინანსური წახალისების ნაკლებობისა და სისტემური მხარდაჭერის არქონის გამო.

მდგრადი განვითარების გზაზე სოციალური და მწვანე მეწარმეობა შეიძლება იქცეს გარდამტეხ ძალად, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ ზრდას, გარემოს დაცვას და სოციალურ ჩართულობას. ამისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფომ, აკადემიურმა წრეებმა, კერძო სექტორმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა იმოქმედონ ერთიანი, ინტეგრირებული ხედვით.

ლიტერატურა

1. Chechelashvili, M., & Kharkhelauri, K. (2023). Changing macroeconomics due to the "trust" component. *Norwegian Journal of Development of the International Science*, *103*, 9–14. https://doi.org/10.5281/zenodo.7687797
2. Chechelashvili, M., Chikviladze, N., Iashvili, I., Kajaia, T., Kharkhelauri, K., & Malania, E. (2024). Creation of a strategically oriented social responsibility management system in a Georgian organization. *Qubahan Academic Journal*, *4*(3), 694–697. https://doi.org/10.48161/qaj.v4n3a246
3. Sabatini, R., & Gardi, A. (2023, September 15). Sustainable aviation technology and operations: Research and innovation perspectives. https://doi.org/10.1002/9781118932599
4. Yunus, M. (2008). Creating a world without poverty. *Global Urban Development*, *4*(2). https://www.globalurban.org/GUDMag08Vol4Iss2/Yunus.pdf
5. Schaltegger, S., Hansen, E. G., & Lüdeke-Freund, F. (2016). Business models for sustainability: Origins, present research, and future avenues. https://doi.org/10.1177/1086026615599806

6. Organisation for Economic Co-operation and Development (OECD). (2013). *Green entrepreneurship: Eco-innovation for sustainable development*. https://one.oecd.org/document/CFE/SME(2011)9/FINAL/en/pdf
7. United Nations, Department of Economic and Social Affairs. (2015). *Transforming our world: The 2030 agenda for sustainable development*. https://sdgs.un.org/2030agenda
8. UNDP Georgia. (2020). *Supporting social enterprises in Georgia: Assessment and strategic recommendations*. https://www.undp.org/georgia
9. Datuashvili, E. (2020). *Social entrepreneurship in Georgia: A review of Georgian practice*. Georgian Center for Strategic Studies and Development. https://civilin.org/wp-content/uploads/2021/08/Social_Enterprise_geo.pdf
10. Guruli, N. (2020). *Social entrepreneurship in Georgia: Legal and institutional barriers*. Georgian Institute of Policy (GIP), *Policy Review*, No. 18. https://gip.ge
11. EU4Environment Initiative. (2021). *SME policy index: Eastern Partnership countries 2020*. https://www.eu4environment.org/ka/sme-policy-index-eastern-partner-countries-2020/

UDC 658: 330.3
SCOPUS CODE 1410
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-114-122

Challenges of Social and Green Businesses in Georgia

Khatuna Kharkhelauri	Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str. E-mail: kh.kharkhelauri@gtu.ge
Nino Dzneladze	Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str. E-mail: dzneladze.nino22@gtu.ge
Saba Tsiklauri	Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str. E-mail: tsiklauri.saba21@gtu.ge

Reviewers:

B. Goderdzishvili, Associate Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: b.goderdzishvili@gtu.ge
N. Maziashvili, Associate Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: n.maziasvili11@gtu.ge

Abstract. The modern world economy is increasingly focusing on sustainable development, which puts businesses with social and ecological responsibility in a leading position. In Georgia, interest in both social and green

businesses has been actively growing in recent years. However, the existence of an appropriate environment is important for their development. Unlike developed countries, in Georgia, these models are still at an early stage of development and require legislative, financial and educational support.

The development of green and social businesses involves the creation of economic models that serve environmental protection and sustainable development. This includes creating innovative products and services that reduce the problems of climate change and environmental pollution.

In this article, we discussed the concept of sustainable development, also known as the "Triple Bottom Line" approach. Green businesses often use the 3P model (People, Planet, and Profit), which involves not only obtaining financial benefits, but also caring for the well-being of the environment and society. For example, companies that focus on recycling waste and using renewable energy play an important role in reducing environmental problems.

In this article, we discussed several different types of sustainable business models that companies use to have a positive impact on society and the environment.

Keywords: Green Business; Sustainable Development Concept; „Triple Bottom Line" Model.

განხილვის თარიღი 25.03.2025
შემოსვლის თარიღი 16.04.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025